თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თერჯოლა 04.02.2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. იზა მაგრაქველიძე, 3. დავით გოგბერაშვილი, 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. ნინო მახათაძე, 6. ელისო მურადაშვილი, 7. ლაშა გურგენიძე, 8. ტარიელ ფანჩულიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. დავით ცხადაძე, 3. კახა ბუცხრიკიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28250305, 30.01.2025 წ.);

/მომხს: შ. ჭანკვეტაძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282503494, 03.02.2025 წ.).

/მომხს: შ. ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი - პროგრამას ემატება მოსარგებელთა კატეგორია, კერძოდ, ამ პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია და ეს ფაქტი დასტურდება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მერის წარმომადგენლის მიერ გამოცემული ცნობის საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე: შ. ჭანკვეტაძე

შალვა ჭანკვეტაძე